ხელშეკრულება N222

ერთი მხრივ, **სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა** (ფაქტიური მისამართი: სიღნაღი, დ. აღმაშენებლის N2, საიდენტიფიკაციო კოდი: 240417223) მისი **გამგებლის დავით ჯანიკაშვილის** სახით (შემდგომში „დამკვეთი") და მეორე მხრივ შპს **„საინფორმაციო ცენტრების ქსელი"**, (მისამართი: გურჯაანი, ნონეშვილის ქ. N1, საიდენტიფიკაციო კოდი: 227746259, (შემდგომში შემსრულებელი) მისი **გაყიდვების მენეჯერის ეკატერინე წიწრიაშვილის** სახით ვდებთ ამ მომსახურების ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება") შემდეგზე:

„ხელშეკრულება" შედგება საერთო პირობების (შემდგომში „საერთო პირობები") და სპეციალური პირობებისგან (შემდგომში „სპეციალური პირობები"). „საერთო პირობებს" და „სპეციალურ პირობებს" შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება „სპეციალურ პირობებს".

საერთო პირობები

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „შემსრულებელი" ვალდებულია „დამკვეთს" გაუწიოს მომსახურება (შემდგომში „მომსახურება"), რომელიც მოცემულია „ხელშეკრულების" „სპეციალურ პირობებში".

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. „ხელშეკრულების" მოქმედების ვადა განისაზღვრება „სპეციალური პირობებით".

3. დამკვეთის უფლება – მოვალეობები

3.1. „დამკვეთი" უფლებამოსილია, „მომსახურების" შესრულების პერიოდში, შეამოწმოს „მომსახურების" გაწევის მიმდინარეობა და მიიღოს „შემსრულებლისგან" ყველა საჭირო ინფორმაცია „მომსახურების" მიმდინარეობის შესახებ.

3.2. „დამკვეთი" ვალდებულია გადაიხადოს „ღირებულება" „სპეციალური პირობების" შესაბამისად.

4. შემსრულებლის უფლება – მოვალეობები

4.1. „შემსრულებელი" უფლებამოსილია, გამოიყენოს „ხელშეკრულებით" და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

4.2. „შემსრულებელი" ვალდებულია:

4.2.1. „მომსახურება" გაწიოს სრულად „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ ვადებში;

4.2.2. გაუწიოს „დამკვეთს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო „მომსახურება";

4.2.3. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1.„ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „მხარეები" პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. „მომსახურების" უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში, „შემსრულებელი" ვალდებულია, საკუთარი ხარჯით გამოასწოროს არსებული ნაკლი/ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. „ხელშეკრულების" შეწყვეტა დასაშვებია:

6.1.1. „ხელშეკრულების" ვადის ამოწურვის გამო;

6.1.2. „მხარეთა" ურთიერთშეთანხმებით;

6.2 „ხელშეკრულების" შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მხარეებს" „ხელშეკრულების" შეწყვეტამდე არსებული შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. „ხელშეკრულება" ძალაში შედის „მხარეთა" მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

7.2. „ხელშეკრულებაში" ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობით, „მხარეთა" შეთანხმებით;

7.3. იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების" რომელიმე მუხლი გაუქმდება, ეს არ გამოიწვევს სხვა მუხლების მოქმედების შეწყვეტას;

7.4. „მხარეთა" შორის წარმოშობილი უთანხმოებები წყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს შესაბამისი სასამართლო, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.5. „ხელშეკრულება" შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარიც გადაეცემათ „მხარეებს".

სპეციალური პირობები

1. **მომსახურების პაკეტი**

1.1.„ხელშეკრულების" საფუძველზე და მისი („ხელშეკრულება") პირობების გათვალისწინებით, „შემსრულებელი" „დამკვეთს" უწევს შემდეგ „მომსახურებას":

SMS ხარვეზამო მომსახურება

1.2. „მომსახურების" დეტალური მახასიათებლები განსაზღვრულია „ხელშეკრულების" დანართ N1-ში (შემდგომში: „დანართი N1"). „დანართი N1", არის „ხელშეკრულების" განუყოფელი ნაწილი.

1.3. „დამკვეთისთვის“ „მომსახურების“ ჯეროვნად მიწოდებას, „მხარეები“ ადასტურებენ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის (შემდგომში: „მიღება-ჩაბარების აქტი“) გაფორმებით. „მიღება-ჩაბარების აქტის“ გაფორმება ხდება „დამკვეთის“ ინიციატივით.

2. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1. „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა („დამკვეთი“ და „შემსრულებელი“) მიერ ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 28 დეკემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 იანვრამდე.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. „მომსახურების“ საერთო „ღირებულებაა“ 250 (ორასი ორმოცდაათი) ლარი.

3.2. „მხარეებს“ შორის „ანგარიშსწორება“ ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

„დამკვეთი“	„შემსრულებელი“
	შპს „ინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საიდენტიფიკაციო N: 227746259 მისამართი: გურჯაანი, იოსებ ნონეშვილის N1 ბანკის რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE38LB0610009934087373 გაყიდვების მენეჯერი: ეკატერინე წიწრიკაშვილი

2018 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულების დანართი N1

N	მომსახურება	პერიოდი	ღირებულება ლარში [დღგ-ს ჩათვლით]
			ერთჯერადი
1	SMS სარეკლამო მომსახურება [ტელეფონის ნომრები მოწოდებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ]	ერთჯერადი	250
	სულ		250

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა

შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელი“